



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

04/11/2016

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 966

„თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილის) დამტკიცების თაობაზე“ ქ. ბათუმის მერის 2009 წლის 20 მაისის №341 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების, „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილების, „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :


1. „თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილის) დამტკიცების თაობაზე“ ქ. ბათუმის მერის 2009 წლის 20 მაისის №341 ბრძანებაში შეტანილი იქნას ცვლილება და თანდართული (გრაფიკული) სახით დამტკიცდეს თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის კონკრეტული უფლებრივი ზონირების ახალი რუკა (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი), თანახმად დანართისა.

2. წინამდებარე ბრძანება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized cursive letters, followed by a long horizontal line extending to the right.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი